ნინო ბესელია

სამოქალაქო განათლების საგნობრივი კონსულტანტი

სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების

ეროვნული ცენტრი“

მასტერკლასი სამოქალაქო განათლებაში

მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის უპირველესი მიზანი ურთიერთთანამშრომლობის გზით მასწავლებლის პროფესიული განვითარებაა. სწორედ ამიტომ განისაზღვრა მასწავლებლებისთვის სავალდებულო აქტივობად სამოდელო გაკვეთილების ჩატარება.

სქემის მიხედვით დადგენილია სამოდელო გაკვეთილის ტიპები:

1. ინტეგრირებული გაკვეთილი;
2. პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი;
3. გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი;
4. ინოვაციური გაკვეთილი.

ვითვალისწინებთ მასწავლებელთა დიდ ინტერესს სამოდელო გაკვეთილების ჩატარების მეთოდურ საკითხებთან დაკავშირებით, შეგვიძლია შემოგთავაზოთ 4-საათიანი ე.წ. „მასტერკლასი“, რომელზედაც მასწავლებლებს წარმოვუდგენთ ორი ტიპის სამოდელო გაკვეთილს: პრობლემაზე ორიენტირებულს და ინოვაციურს, შემდეგ შეხვედრაზე კი (თუ თქვენი სურვილი იქნება) - ინტეგრირებულსა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებულს.

სამოქალაქო განათლების მიმართულებით ჩატარდება სამოდელო გაკვეთილები:

1. დილემური სწავლება (ინოვაციური გაკვეთილი (შინაარსობრივი + მეთოდური);
2. საგაკვეთილო პროექტი (პრობლემებზე ორიენტირებული გაკვეთილი).

ჩატარდება სამოდელო გაკვეთილი, რომლის შემდეგაც მონაწილეებს ჩაუტარდებათ უკუკავშირი ორი მიმართულებით, მონაწილე მასწავლებლები ორი პოზიციიდან - მოსწავლისა და მასწავლებლის, გაიაზრებენ და შეაფასებენ საგაკვეთილო პროცესს.

პედაგოგები მიიღებენ რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა შექმნან გაკვეთილის გეგმა/სცენარი. ასევე გაეცნობიან ინტერაქტიული გაკვეთილის ჩატარების თავისებურებებს.